ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N82

ქ.თბილისი

1 ივნისი, 2021 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თევდორე ისაკაძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
გიორგი ბირბიჩაძე
ოთარ გრიგოლია
გიორგი დოხტურიშვილი
ანა ლაშხი
ქეთევან მამულაშვილი
თინათინ ნიბლოშვილი
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
დავით უთმელიძე
ვახტანგ შაქარიშვილი
ვლადიმერ ძნელაძე
ლევან ჯაფარიძე
ქეთევან ჯოხაძე
ლევან არველაძე
გულია გოცირიძე
ლევან დარახველიძე
ერეკლე კუხიანიძე
ზაზა მამალაძე
მიხეილ მესხი
ვაჟა ოთარაშვილი
დათო რურუა
რევაზ სოხაძე
ბორია ფირცხელიანი
გიორგი ჩაკვეტაძე
ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)
ილია ჯიშკარიანი

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი გიგა სოფრომაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ხაბეიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიგა სოფრომაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ბირბიჩაძე

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-135^{2} მუხლებით, 135^{3} მუხლის პირველი ნაწილით, 135^{4} და 135^{5} მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N81-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქ.თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 39/002, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასათვის“ (ს/ნ.: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.006.05.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარლის, N104; N106; N108 (უბანი N6)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.022.005.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.006.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქ.თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კა-ემ-სისთვის“ (ს/ნ.: 405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ.თბილისი, საირმეს ქუჩა N51 (ს/კ.: N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის“ (ს/ნ.: 404888092), შპს „აქსის გრუპის“ (ს/ნ.: 404954117), შპს „აქსისის“ (ს/ნ.: 211393357) მიმართ, ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.N26 (ს/კ.: N01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2“-ის (ს/ნ.: 205090391) მიმართ, ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.N12 (ს/კ.: N01.10.17.002.022) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი“-ს (ს/ნ.: 205041033) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

17. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

18. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

19. „ქ.თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.089; N01.14.16.014.002) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

20. „ქალაქ თბილისში, დ.აბაშიძის ქუჩა N17-სა და დ.აბაშიძის N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.001.006; N01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის (ბანკი, სასტუმრო, კაფე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის N56 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

21. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N3; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში, ფარნავაზის ქუჩაზე (ნაკვეთი N2; N6; N11/059); ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.014; N01.10.06.011.077; N01.10.06.011.084) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

22. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ს.ცინცაძის ქ.N51-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს N224 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

23. „ქალაქ თბილისში სკოლებს შორის ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისა და შესაბამის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ხაბეიშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მიიღეს საქართველოს პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება და შესაბამისად, საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების გამო, საჭირო გახდა ლევან ხაბეიშვილისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

გიორგი ბირბიჩაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ორი წელია არ ესწრებიან საკრებულოს სხდომებს და „უპრიანი იქნებოდა, მინიმუმ ამ დღეს მაინც მოსულიყო და პატივისცემა გამოეხატა ინსტიტუტის მიმართ“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებებით წარმოდგენილია გრანტის სახით გადმორიცხული 216000 ლარის ასახვა ბიუჯეტში. ასევე, სპორტული ობიექტების მშენებლობიდან 1000000 ლარის გადატანა ინფრასტრუქტურის მიმართულებით და გამგეობების შიდა გადანაწილებები.

გიორგი ჩაკვეტაძემ განმარტა, რომ სპორტული მიმართულებით ცვლილებები გამოწვეულია იმით, რომ მომავალი წლისთვის გადაიდო წყნეთის გზატკეცილზე არსებული ახალი პროექტის განხორციელება, რომლის მშენებლობაც უნდა დაწყებულიყო მიმდინარე წელს. ასევე, საბურთალოს რაიონში, ღონისძიებების ნაწილში წარმოდგენილია მცირე კლება, რაც გამომდინარეობს წლის დინამიკიდან.

დავით უთმელიძემ განმარტა, რომ საბურთალოს რაიონში წარმოდგენილი ცვლილებები მიმართული იქნება დიღომში, უხვი ნალექის მოსვლის შედეგად დაზიანებული 24 კორპუსის გადახურვის სამუშაობისკენ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა გიგა

სოფრომაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი შინაარსის გეგმა თბილისის ისტორიაში არის პირველი დოკუმენტი. გეგმა შედგება 74 აქტივობისგან და მისი ძირითადი მიმართულებებია: ცნობიერების ამაღლება უწყების შიგნით მომუშავე თანამშრომლებისთვის, რომლებიც ახორციელებენ იმ აქტივობებს, პროგრამებს და სერვისებს, რომლებსაც თბილისის მერია სთავაზობს მოქალაქეებს; მისაწვდომობის კომპონენტების გაზრდა, როგორც ფიზიკური გარემოს, ასევე, სერვისების კუთხით, სადაც დღეს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შეიძლება აწყდებოდნენ ბარიერებს; დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სადაც იგულისმება ისეთი სერვისების შექმნა და განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს; გეგმის შესრულების მონიტორინგი და სხვადასხვა უწყებებთან კოორდინაცია, მათ შორის, საკრებულოსთან. გიგა სოფრომაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს, რომელიც მონაწილეობდა წარმოდგენილი გეგმის შემუშავებაში.

გიორგი ჩაკვეტაძემ მადლობა გადაუხადა გიგა სოფრომაძეს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობდა წარმოდგენილი გეგმის შემუშავებაში და განაცხადა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტით გათვალისწინებულია ყველა ის ღონისძიება, რასაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად ახორციელებს, კერძოდ, ყველა მუნიციპალური ობიექტის ადაპტირება და ყველასთვის ხელმისაწვდომობა. წარმოდგენილ გეგმას ექნება ერთიანი სახე და იქნება არა სარეკომენდაციო ხასიათის, არამედ შესასრულებლად სავალდებულო სამოქმედო გეგმა, რომლითაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია სპორტულ ინფრასტრუქტურასა და ახალგაზრდულ სივრცეებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ადაპტირების აუცილებლობა.

მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი გეგმა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო დოკუმენტია, სადაც კონკრეტულადაა დასახული თითოეული ნაბიჯი და განაცხადა, რომ „ჩვენთვის ღირსებაა, რომ მეექვსე მოწვევის საკრებულო, თბილისის ისტორიაში პირველად იღებს ამ დოკუმენტს“.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილია დოკუმენტი ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია და დიდი მადლობა გადაუხადა გიგა სოფრომაძეს და თითოეულ იმ ადამიანს, რომელიც ჩართული იყო გეგმის შემუშავების პროცესში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ძუძუს კიბოს მედიკამენტების მარეგულირებელ პროექტში მედიკამენტების დოზების დაზუსტება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 18 მაისის N81-50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ვიდეოჯარიმების შესახებ პირების ინფორმირებას, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც მოუთხოვია ვიდეომასალა, თუმცა, შესაბამისმა სამსახურმა, სრულყოფილი სახით ვერასდროს მიაწოდა მასალა, მიზეზით, რომ წაშლილია და დაინტერესდა, თუ რა დროის განმავლობაში ინახება ინფორმაცია ვიდეოკამერებში.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ კონკრეტული პირების საჯარიმო სანქციების შესახებ ინფორმაცია ინახება ერთი წლის განმავლობაში და შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხდება მისი უტილიზაცია. ხოლო ის ინფორმაცია, რომლის ვიდეოკონტროლი ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, ინახება სამი კვირიდან ერთ თვემდე ვადით, რადგან ეს დამოკიდებულია ელექტრონულ რესურსზე.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, ჩართულია თუ არა უკვე სისტემა და ვისი სახელით მიუვა შეტყობინება სამართალდამრღვევს.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ ამ ეტაპზე სისტემა არის სატესტო რეჟიმში და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მიმდინარეობს თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით. რაც შეეხება შეტყობინებას, სამართალდამრღვევს მოკლე ტექსტური შეტყობინება მიუვა თბილისის მუნიციპალიტეტის სახელით, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯარიმებს წერს სხვა მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, ხოლო მუნიციპალიტეტი - სხვა მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის N33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ მისამართზე ცხოვრობენ ან ის პირები, რომლებიც არ არიან უძრავი ქონების მესაკუთრეები, ან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილებით, მესაკუთრე შეძლებს, მინდობილობის საფუძველზე, კონკრეტულ პირს მისცეს უფლება, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მიამაგროს ორი სატრანსპორტო საშუალება, რომლებითაც ისარგებლებს ზონალური პარკირების კუთხით არსებული შეღავათით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისში, სომხეთის ჩიხი N10-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 39/002, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.17.07.039.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 1827 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არომასათვის“ (ს/ნ.: 245599990) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანია, მშენებლობის დასრულების შემდეგ, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ 13 ოჯახს, გადასცემს ჯამში 1000 კვ.მ. ფართს, თეთრი კარკასის მდგომარეობაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III, კორპუსი 5-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.006.05.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 64 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 30 წელზე მეტია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, ქუჩა თამარ მეფე, ჩიხი II, კორპუსი 10-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.052.057) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 151 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, ქუჩა მინდელი, N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.075.01.533) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 81 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1997 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ყვარლის, N104; N106; N108 (უბანი N6)-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.08.022.005.03.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 50 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც, ოჯახთან ერთად, 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N36-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.006.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 92 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2000-02 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქ.თბილისში, გლდანის მასივი, ვასაძის ქუჩაზე არსებული 44 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.018.107) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კა-ემ-სისთვის" (ს/ნ.: 405423590) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში მდებარე 1333 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.19.422) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობას. განმარტა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს წყნეთში, ე.წ. წყნეთის სატყეო უბანში, რომელსაც, იქიდან გამომდინარე, რომ ფაქტობრივად გამწვანებული ტერიტორიაა, ახალი გენ.გემის მიხედვით, შეეცვალა ფუნქციური ზონის სტატუსი და დღეს, მასზე, საცხოვრებელი ზონის ნაცვლად, ვრცელდება სატყეო ზონის სტატუსი. აღსანიშნავია ასევე, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1333 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს დაბა კოჯორში, რომლის ღირებულება შეადგენს 175956 ლარს, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის - 165575 ლარს და მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ ფასთა შორის სხვაობას მოქალაქე გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხის განხილვა საკრებულოს შეჩერებული ჰქონდა იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული არის პრეცედენტული, რადგან გარკვეულ არეალს, კერძოდ, „კაკლების“ ერთ-ერთ ტერიტორიას, სადაც დაახლოებით 100 კერძო მესაკუთრეა, ახალი გენ.გეგმის მიხედვით, შეეცვალა ფუნქციური ზონის სტატუსი და დაედო სატყეო ზონა. მისი თქმით, ხსენებული ტერიტორია არ არის განაშენიანებული და შესაძლებელია, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ვერ მომხდარიყო განაშენიანება, თუმცა, იქ ვრცელდებოდა ან საცხოვრებელი ზონა, ან სარეკრეაციო ზონა 2, რომლებზეც გაიცემოდა ინდივიდუალური ნებართვები და აქედან გამომდინარე, ფაქტია, რომ ამ კუთხით, კერძო მესაკუთრეების მდგომარეობა გაუარესებულია. გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყოს ზემოთ ხსენებული ტერიტორიის გამოსყიდვის ან ჩანაცვლების პროცესი და მართალია, წარმოდგენილი პროექტი არის პირველი შემთხვევა, პროცესი გაგრძელდება და სურვილის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს ყველა კერძო მესაკუთრეს. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის შეფასება განხორციელდა სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით და შესაბამისად, ფასი შედარებით დაბალია, ვიდრე ის შეიძლებოდა ყოფილიყო საცხოვრებელი ზონის შემთხვევაში და ამ ტერიტორიაზე, სხვა მიწის ნაკვეთების შეფასების დროსაც გაგრძელდება ანალოგიური მიდგომა.

ირაკლი თავართქილაძემ დაადასტურა, რომ წარმოდგენილი პროექტი არის პირველი მონაცვლეობის საკითხი ამ არეალში. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა და სარეკრეაციო ზონა 2, სადაც შესაძლებელია სამშენებლო ნებართვის გაცემა, შესაბამისი საგზაო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, ეს მიწის ნაკვეთები დამოუკიდებლად ვერ განვითარდება და აქედან გამომდინარე, ამ არეალში, ნებისმიერი მიწის ნაკვეთი შეფასდება არა როგორც სტანდარტული მიწის ნაკვეთი წყნეთში, არამედ იმ დათქმით, რომ ამ მიწის ნაკვეთებზე გარკვეული უფლებების არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ოდესმე აუცილებლად მოხდებოდა მათი განვითარება და კერძო მესაკუთრეები მიიღებდნენ მშენებლობის ნებართვას. რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ მიწის ნაკვეთის ღირებულება იქნება უფრო დაბალი, ვიდრე ეს შეიძლება იყოს წყნეთში, სხვა ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთის შეფასების შემთხვევაში.

მარიკა დარჩიამ განაცხადა, რომ ახალი გენ.გეგმით, სატყეო ზონის სტატუსი დაედო კიკეთთან, წლების წინ, სააგარაკოდ გაცემულ მიწის ნაკვეთებსაც და დაინტერესდა, როგორ უნდა მოიქცეს კერძო მესაკუთრე.

ირაკლი თავართილაძემ აღნიშნა, რომ, სამწუხაროდ, წლების წინ აქტიურად მიმდინარეობდა მსგავსი ტიპის მიწების გაყიდვა, დაკანონება და ა.შ. და განმარტა, რომ თუ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის სტატუსის გაუარესება მოხდა ახალი გენ.გეგმის დამტკიცების შემდეგ, მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს ან მონაცვლეობითი კომპენსაცია, ან ძველი ფუნქციური სტატუსის დაბრუნება. ამ შემთხვევაში, დაინტერესებული პირი, ძველი ფუნქციური ზონის სტატუსის დაბრუნების მოთხოვნით, მიმართავს ურბანულ სამსახურს, რასაც განიხილავს კომისია და თუ შესაძლებელი იქნება მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილება, სამსახური მიმართავს თბილისის მთავრობას და საკრებულოს, ხოლო თუ მიზანშეწონილი არ იქნება მიწის ნაკვეთისთვის ძველი ფუნქციური ზონის სტატუსის დაბრუნება, განმცხადებელი, მიწის ნაკვეთის მონაცვლეობის თხოვნით, მიმართავს ქონების მართვის სააგენტოს, რის შემდეგაც დაიწყება შესაბამისი პროცესი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-297-15-17432 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2016 წელს, აუქციონის ფარგლებში, თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის III მ/რ-ში, II კვარტალში, კორპუსი N15-ის მიმდებარედ გაიყიდა 388 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც მესაკუთრემ გააერთიანა თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან და აიღო მშენებლობის ნებართვა. ასევე, გენ.გეგმის დამტკიცების პერიოდში მოითხოვა და მიიღო კ2 კოეფიციენტის მომატების უფლება, რის სანაცვლოდაც ფართის 10%-ს გადასცემს მუნიციპალიტეტს. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ 388 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა შეზღუდვა, საზოგადოებრივი დანიშნულების კვების ობიექტის განთავსების პირობით. იმისთვის, რომ გაცემული ნებართვის ფარგლებში განხორციელდეს მშენებლობა, მოთხოვნილია შეზღუდვის მოხსნა. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შეფასების თანახმად, შეზღუდვის მოხსნის შემდგომ ფასთა შორის სხვაობა შეადგენს 51465 ლარს, რასაც კომპანია გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

16. „დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით, მისამართებზე: ქ.თბილისი, საირმეს ქუჩა N51 (ს/კ.: N01.10.15.023.027; N01.10.15.023.006; N01.10.15.023.018; N01.10.15.023.026) დაინტერესებული პირების - შპს „საირმე პალასის“ (ს/ნ.: 404888092), შპს „აქსის გრუპის“ (ს/ნ.: 404954117), შპს „აქსისის“ (ს/ნ.: 211393357) მიმართ, ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.N26 (ს/კ.: N01.10.17.002.006) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი 2“-ის (ს/ნ.: 205090391) მიმართ, ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქ.N12 (ს/კ.: N01.10.17.002.022) დაინტერესებული პირის - იმა „აქსისი პალასი“-ს (ს/ნ.: 205041033) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით გამოსაყენებელი ხელშემწყობი ღონისძიბების ფარგლებში, წარმოდგენილია კომპანიის მიერ მოთხოვნილ ბლოკებზე კ2 კოეფიციენტების მატება, რაც არ იძლევა ჯამში შვიდ სართულზე მეტის გადამეტებას და ასევე, არქიტექტურული პრეფერენციების სახით, კომპანიას უფლება მიეცა მშენებლობა განახორციელოს სიმაღლის და პარკირების ნორმების დაუცველად. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობის გარეშე, ვერ შეძლებს მომატებული ფართების გაყიდვას და ასევე, კომპანია ვალდებულია, საკრებულოს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან მაქსიმუმ 6 თვის ვადაში აიღოს ნებართვები და დაიწყოს სამუშაოები. ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი პროექტის განხორციელების შედეგად, საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილდება 502 დაზარალებული ოჯახი.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება რამდენიმე ასეული ოჯახის პრობლემის მოგვარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და მადლობა გადაუხადა როგორც ლევან ჟორჟოლიანს, ასევე ყველა იმ ადამიანს, ვინც იმუშავა ამ საკითხზე. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანია ამ სქემაში ბანკის ჩართულობა, რადგან ეს არის იმის გარანტია, რომ პროექტი არ შეფერხდება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ცვლილებები წარმოდგენილია სარეკრეაციო ზონებში საგამონაკლისოდ დასაშვებ სახეობებთან დაკავშირებით, კერძოდ, სარეკრეაციო ზონა 1-ში, სარეკრეაციო ზონა 2-ში და სარეკრეაციო ზონა 3-ში, სპეციალური ზონალური შეთანხმებით, შესაძლებელი იქნება სატრანსპორტო ქვეითის გადაადგილებისთვის განკუთვნილი გზის მოწყობა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

18. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-03211416-03 თარიღი: 21.05.2021, N12-03211417-03 თარიღი: 21.05.2021 და N12-03211474-03 თარიღი: 27.05.2021 წარმოდგენილი წინადადებები, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დადებითად შეფასდა.

გიორგი დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ პროექტით წარმოდგენილია ვარკეთილის მესამე მასივში ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების საკითხი, რომლის ფარგლებშიც, განაშენიანების რეგულირების გეგმაში ხორციელდება ცვლილება, რომელიც მოსახლეობის წინაშე ათწლეულების მანძილზე არსებული მძიმე პრობლემის მოგვარების შესაძლებლობას იძლევა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

19. „ქ.თბილისში, ინტენსიფიკაციის ქუჩა N1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.089; N01.14.16.014.002) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართია 10941 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2020 წლის 22 დეკემბერს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების მიხედვით, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განხორციელდება მრავალფუნქციური, კომერციული, საოფისე, სასტუმრო, საცხოვრებელი და ავტოსადგომის ფუნქციის შენობების მშენებლობა, სადაც მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 15 სართულით.

ვაჟა ოთარაშვილმა, ისევე, როგორც საკრებულოს რამდენიმე სხდომაზე, დღესაც დააფიქსირა, რომ თბილისი, არქიტექტურული თვალსაზრისით, ვითარდება არასწორად და გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, მაღალსართულიანი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებით, გამოცხადდეს მორატორიუმი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

20. „ქალაქ თბილისში, დ.აბაშიძის ქუჩა N17-სა და დ.აბაშიძის N17/4-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.16.05.001.006; N01.16.05.001.017) მრავალფუნქციური კომპლექსის (ბანკი, სასტუმრო, კაფე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის N56 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირებით წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიისთვის სს „თელასის“ საკუთრებაში არსებული 33 კვ.მ. მიწის ნაკვეთის დამატება. რაც შეეხება სხვა ქალაქმშენებლობით პარამეტრებს, კ1, კ2, და კ3 კოეფიციენტები რჩება უცვლელი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი N3; ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის საცხოვრებელ რაიონში, ფარნავაზის ქუჩაზე (ნაკვეთი N2; N6; N11/059); ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი N5-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.10.06.011.014; N01.10.06.011.077; N01.10.06.011.084) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართია 6112 კვ.მ., სადაც მოქმედი ფუნქციური ზონის - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის ფარგლებში, დაგეგმილია ერთი მრავალფუნქციური შენობის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ს.ცინცაძის ქ.N51-ის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს N224 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართია 7104 კვ.მ., სადაც თვითმმართველის მიერ, მიწის ნაკვეთები გადაცემულია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისთვის, რომელთა დაკმაყოფილების მიზნით, წარმოდგენილია კ2 კოეფიციენტის გადაჭარბება 4.2-მდე და ასევე, მიმდებარედ არსებული ბარაკების გამოთავისუფლება და მაქსიმუმ რვასართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

23. „ქალაქ თბილისში სკოლებს შორის ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისა და შესაბამის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიზანია, სკოლის მოსწავლეებმა იგრძნონ და გაითავისონ საკუთარი როლი პანდემიასთან ბრძოლაში, რასაც მოკლე ვიდეორგოლის სახით, წარმოადგენენ შესაბამის „facebook“ გვერდზე და მიმართა კოლეგებს მხარი დაუჭირონ აღნიშნულ საკითხს და აქტიურად ჩაერთონ პროექტის განხორციელების პროცესში.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ პროექტი ძალიან საინტერესოა და მიმართა საკრებულოს წევრებს, აქტიურად ჩაერთონ მისი განხორციელების პროცესში, რათა მიღწეული იქნას მიზანი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით დააყენა კენჭისყრაზე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 6 დადგენილება და 17 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი